ხელშეკრულება #225

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „თოდრია და პარტნიორები" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ თოდრიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის 1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ SMP მოდულში მიღებული თანხმობის SMP180002228 შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია: იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების CPV-79140000 შესყიდვა, კერძოდ 2016 წლის 4 ოქტომბერს "საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო"-ს, შპს "სპორტმშენსერვისსა" და behlen industries Lp-ს შორის გაფორმებული #160 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული დასკვნის მომზადება ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების თაობაზე, ამასთან დამატებით დეტალები შესაძლებელია დაზუსტდეს დასკვნის მომზადების პროცესში.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი;**

3. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიწოდება და მიღება ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 21 დეკემბრისა;

4.2 დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ნაბეჭდი სახით 3 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე ჩაწერილი 3 ეგზემპლარის სახით;

4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს : თორნიკე ტყეშელაშვილი, შპს სპორტმშენსერვისი-ს დირექტორი;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – ალექსანდრე კოპალეიშვილი);

5.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

5.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს წარმომადგენელი ალექსანდრე კოპალეიშვილი;

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

6.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქარTველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

7.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

შემსყიდველი

მიმწოდებელი

აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაჭრის გზები

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

12. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542 მის:ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ტერა ბანკი“ ბანკის კოდი: TEBAGE22 ანგარიშის ნომ: GE08KS0000000360800806	შპს „თოდრია და პარტნიორები“ ს/კ 454410575 მის: ქ.თბილისი, ჯ. ბაგრატიონის 6/403 საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომ: GE82TB7205836080100004

დირექტორი: თ. ტყეშელაშვილი

დირექტორი: თ. თოდრია

შემსყიდველი

მიმწოდებელი